ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ლომოური

# ყინვა და პატარა მოწაფე

მხატვარი ვაშაძე

საბლიტგამი
თბილისი
1941

K 62.369
2
A-4 55/2



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვლით დაფენილ ტრიალს მინდორსა
თითქო ღრმა ძილით ჩასძინებოდა,
და ხშირსა ტყესა, ჩადრწამოსხმულსა,
სახე სრულიად გაჰშეშებოდა.
  არსაიდამა არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი,
ირგვლივ ცის კიდით კიდემდისინა
იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ყინვა თანდათან ძლიერდებოდა,
ხან აღმა მთებზე და ხან ჩამოღმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბრმანდებოდა და თანაც თვალსა
არ აშორებდა დატკეპნილს გზასა,
უნდოდა მალა გამოეჩინა,
წინ დაჰხვედროდა მომავალს მგზავრსა.
აგერა კიდეც გზაზე გამოჩნდა
ბავშვი წიგნებით იღლიაშია,
ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის სკოლაშია.

ყინვამ მაშინვე მისკენ მიჰმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
„ბავშვო სულელო,—სწრაფლ მიაძახა,—
გირჩევ ეხლავე დაბრუნდე შინა!





Δ-455/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემთან კერპობა შენ არ გაგივა,
მალე გეცვლება წითელი ფერი;
იცოდე, შენზე დიდებისათვის
მომიგრეხია მწარედ კისერი!"
ესმის ყველა ეს პატარა ბავშვსა,
სცივა და მთელი ტანით ძაგძაგებს,
მაინც არ დგება, ხელების ფშვნეტით
მიხტის და ფეხებს მიაბაკუნებს...
ყინვა ბრაზდება და გული მოსდის
პატარა ბავშვის მხნეობაზედა,
უმატებს სუსხსა და ცეცხლსა ანთებს
იმის ლოყებსა და ყურებზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეწუხდა ძლიერ ჩვენი პატარა,
მთლად დაეყინა ხელი, ფეხები,
„ვაიმე, დედავ!“ — უცებ გაისმა
და გადმოსცვივდა საწყალს ცრემლები.
მაგრამ მაინც კი სულ არ შეშინდა,
ფეხიც არ შედგა, არ შეისვენა!
უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
მარდად მოჰკურცხლა მან სკოლისკენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა




მირბის პატარა, მირბის და... აგერ
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა
სულ დაავიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და იმის ბაქიბუქიცა.